მთავრობა 4 წელიწადში სიღარიბეს „დაამარცხებს“

„ინვესტიციები, რომელიც ქვეყანაში შემოდის, უფრო მეტად სპეკულაციური ხასიათისაა“

გაზეთი “რეზონანსი” – 13 მაისი, № 127, 2008

2012 წლისთვის საქართველოში ღარიბები არ იქნებიან, ვინაიდან უმუშევრობა აღარ იქნება და მთავრობა „ბრტყელი“ დახმარებების პრაქტიკას მოიშლის.

მთავრობა 200 ათასი სამუშაო ადგილის შექმნას 10 მილიარდ დოლარამდე მოცულობის უცხოური ინვესტიციების მეშვეობით გეგმავს. ამის შესახებ საუბარი მთავრობის 2009-2012 წლებისათვის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტშია. მოსახლეობის კეთილდღეობისთვის მთავრობა სოციალური დანახარჯების ეფექტიანობის და მიზნობრიობის ხარისხის ზრდას, ე.წ. „ბრტყელი“ დახმარების პრაქტიკის შეცვლას მიზნობრივი დახმარების პრინციპით გეგმავს.

სოციალური პროგრამების ბენეფიციართა რაოდენობის შემცირება, მთავრობის გათვლებით, მათი ცხოვრების დონის გაუმჯობესების შედეგად მოხდება. „საპენსიო პაკეტის საგრძნობლად ზრდა, როგორც სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 100-ზე მეტი საავადმყოფოს სრულად ამოქმედება; სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი სამედიცინო და 1000-ზე მეტი კარგად აღჭურვილი სოფლის ექიმის

მომსახურებით; სადაზღვევო პაკეტით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების ყველა წევრის, აგრეთვე სკოლის მასწავლებლების, შეიარაღებული ძალების საბრძოლო შემადგენლობისა და პოლიციელთა უზრუნველყოფა; ყველა ხელმოკლე ოჯახის ახალშობილზე მინიმუმ 1000 ლარის გადაცემა“, – ასე გეგმავს მთავრობა სიღარიბის დაძლევას ქვეყანაში. მთავრობის ინფორმაციითვე, საქართველოში უნდა
ამოქმედდეს ელექტრონული გადახდების ხელმისაწვდომი სისტემა, მოხდეს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ინტერნეტით უზრუნველყოფის უთანასწორობის მკვეთრად შემცირება, ტრანს-აზია-ევროპის ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალის ამოქმედება.

სასოფლო-სამეურნეო სექტორში 2009-2012 წლებში გაიზრდება საშუალო ფერმერული მეურნეობის წილი; 2,5-ჯერ გაიზრდება საირიგაციო სისტემებით მოცული ფართობი (130 ათასი ჰა-დან 300 ათას ჰა-მდე); შეიქმნება 200-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმო.

„ამ დოკუმუნტის პრიამბულაში დაფიქსირებულია – „საქართველო სიღარიბის გარეშე“. მასში კი წერია, რომ სიღარიბე საგრძნობლად შემცირდება, ეს კი „გარეშეს“ არ ნიშნავს; ანუ ის წინააღმდეგობა რაც ადრე იყო, ისევ დარჩა. ასევე, აღნიშნულია ეროვნული კეთილდღეობა და მოსახლეობის კეთილდღეობა, თუმცა, როგორც ჩანს, მათ კეთილდღეობის შინაარსი არ ესმით“ - აღნიშნავს ექსპერტი ვლადიმერ პაპავა.

„რეზონანსი“: 3 წელიწადში 10 მილიარდი უცხოური ინვესტიციის შემოსვლა და 200 ათასი სამუშაო ადგილის შექმნა შესაძლებელია?

ვლადიმერ პაპავა: რთულია, თუმცა შესაძლებელია. თუ ქვეყანაში იქნება პოლიტიკური და მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ქვეყანა დაცული იქნება სამხედრო ზეწოლისგან, ამ შემთხვევაში, შესაძლებელია მნიშვნელოვანი ინვესტიციების შემოსვლა. მთავარია, ეს ინვესტიციები რა სფეროებში შემოვა და იქნება თუ არა მიმართული ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ჯერჯერობით, ინვესტიციები, რომელიც ქვეყანაში შემოდის, უფრო მეტად სპეკულაციური ხასიათისაა. ეს ინვესტიციები ფოკუსირებულია ქონების ყიდვაზე. ქონების ყიდვა კი არის მესაკუთრის შეცვლა, რაც თავისთავად

ეკონომიკაში, კონკრეტული ცვლილების შეტანას არ გულისხმობს. ინვესტიციები, რომელიც რეალური სექტორის გაფართოებაზე წავა ძალიან ცოტაა. თუ რეალური სექტორი არ გაფართოვდა, დასაქმება არ გაიზრდება. ასე რომ, ინვესტიციების შემოსვლა შესაძლებელია, მთავარია, როგორი იქნება მათი სტრუქტურა.

„რ“: მთავრობა ქვეყნის განვითარების პერიოდულ დაგეგმვაზე გადავიდა. ქვეყნის წინსვლისთვის „50-დღიანი პროგრამა“ შეიქმნა, ახლახანს ქუთაისის განვითარებისთვის პერზიდენტმა 100-დღიანი პროგრამის შემუშავება ბრძანა, რამდენად ეფექტურია ეს ტენდენცია?

ვ.პ.: 50 დღე, სინამდვილეში 152 დღე იყო. ახლა საუბარია – 100 დღეზე. ეს პიარისთვის კარგი თემაა, რეალურად კი ამის განხილვა შეუძლებელია.

„რ“: 50 თუ 152 დღე უკვე გავიდა, რა შეიცვალა ქვეყნის ეკონომიკაში?

ვ.პ.: რაც იყო ნაგულისხმევი, ე.წ. 50 დღეში, მთავრობამ ის ვალდებულებები ნაწილობრივ შეასრულა. რამდენად სასიკეთოა ეს ქვეყნისთვის მეორე საკითხია, თუნდაც ის, რომ 500 მილიონი დოლარის ევროობლიგაცია განთავსდა საფონდო ბირჟაზე და ავიღეთ 5-წლიანი კრედიტი 7,5%-იანი განაკვეთით. რატომ ავიღეთ ეს ფული, მთავრობას ამასთან დაკავშირებით განცხადება ჯერაც არ გაუკეთებია. არადა, საინტერესოა, რატომ გახდა საჭირო ქვეყნის საგარეო ვალის 500 მილიონი დოლარით გაზრდა. თუმცა, ვალდებულება იყო ეს გაეკეთებინათ აპრილში და გააკეთეს. პრობლემა ე.წ. „50-დღიანი“ პროგრამის შესრულება ან შესრულება კი არ არის, არამედ თუ რა სიკეთეს და ან ზარალს მოუტანს იგი ქვეყანას.

„რ“: მთავრობას „50-დღიანი პროგრამა“, რომ არ მოეფიქრებინა მინისტრები უსაქმურად იქნებოდნენ, ხოლო საქართველოს მოსახლეობა „პურის გარეშე დარჩებოდა“. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობამ სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში აწარმოა მოლაპარაკებები უკრაინისა და ყაზახეთის მთავრობებთან, საქართველოში ხორბლის იმპორტის შემოსვლასთან დაკავშირებით...

ვ.პ.: ამ პროგრამებს ასე დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ.

„რ“: მთავრობა ანიჭებს...

ვ.პ.: მთავრობა ამ პროგრამაზე ამდენს იმიტომ საუბრობს, რომ იგი პიარია და სხვა არაფერი.

მაკა ხარაზიშვილი